ღია მმართველობა საქართველოს ფორუმი

„სახელმწიფო ცერემონიების სასახლე“
თბილისი, 27 დეკემბერი, 2019

შეხვედრის ოქმი

დღის წესრიგი[1]

11:00-11:10	ფორუმის გახსნა
	ნათია მეზვრიშვილი *- საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციის უფროსი*
	გიორგი ონიანი *- საერთაშორისო გამჭვირვალობა საქართველოს აღმასრულებელი დირექტორის მოადგილე*
11:10-12:00	ღია მმართველობის კოორდინაცია - ახალი ხედვა პროცესის გასაძლიერებლად
	ღია მმართველობა საქართველოს სამდივნო
	- *საქართველოს ღია მმართველობის ახალი უწყებათაშორისო საკოორდინაციო მექანიზმი* - *არასამთავრობო ორგანიზაციების ფორუმში გაწევრიანების კრიტერიუმები*
	დისკუსია
12:00-12:30	ღია მმართველობა საქართველოს **2018-2019** წლების სამოქმედო გეგმის მონიტორინგის ანგარიში (2019 წლის 30 ივნისის მდგომარეობით) **I** ნაწილი
	- ***ზოგადი შედეგები*** *- ღია მმართველობა საქართველოს სამდივნო* - ***კითხვა-პასუხი***
12:30-13:00	შესვენება ყავაზე
13:00-13:50	ღია მმართველობა საქართველოს **2018-2019** წლების სამოქმედო გეგმის მონიტორინგის ანგარიში - **II** ნაწილი
	- ***სამოქმედო გეგმის შესრულების პროგრესი ივლისი-დეკემბრის მდგომარეობით*** *- პასუხისმგებელი უწყებები* ▪ ***ვალდებულება 5:*** *გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსით გათვალისწინებული მოთხოვნების შესასრულებლად ელექტრონული*

[1] ფორუმის შეხვედრა USAID-ის პროგრამის „დემოკრატიული მმართველობის ინიციატივა საქართველოში“ (GGI)

პორტალის ამოქმედება - გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრი

- ***ვალდებულება 6:*** *არსებული ძირითადი ანტიკორუფციული ინსტიტუტების გაძლიერება - საქართველოს მთავარი პროკურატურა; საქართველოს იუსტიციის სამინისტრო*

- ***ვალდებულება 9:*** *სასამართლო გადაწყვეტილებების ერთიან გაზაში გამოქვეყნება და საძიებო სისტემის შექმნა - იუსტიციის უმაღლესი საბჭო*

- ***ვალდებულება 12:*** *სახელმწიფო საგრანტო დაფინანსების სისტემის გამჭვირვალობის გაზრდა - საქართველოს მთავრობის ადმინისტრაცია* ***TBC***

- ***ვალდებულება 13:*** *ელექტრონული ინოვაციები საჯარო შესყიდვების მეტი გამჭვირვალობისა და ეფექტიანობისთვის - სახელმწიფო შესყიდვების სააგენტო*

- ***ვალდებულება 14:*** *საცხოვრისის პოლიტიკის დოკუმენტის და სამოქმედო გეგმის შემუშავება - საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო*

- ***არსებული გამოწვევები*** *- არასამთავრობო ორგანიზაციები*

დისკუსია

13:50-14:30	**ღია მმართველობა საქართველოს ახალი სამოქმედო გეგმა (2020-2021 წლები) - მიდგომა და საწყისი პოზიციები**

ღია მმართველობა ფორუმის თანა-მომხსენებლები

- *გეგმის შემუშავების კალენდარი*
- *გეგმის პრიორიტეტული მიმართულებები*

დისკუსია

14:30 – 14:35	**შეხვედრის დახურვა**

⇔ ფორუმის გახსნა

„ღია მმართველობა საქართველოს“ ფორუმს (შემდგომში - ფორუმი) საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციამ, როგორც ღია მმართველობა საქართველოს (OGP) მაკოორდინირებელმა უწყებამ, უმასპინძლა.

ფორუმი გახსნა საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციის უფროსმა, ნათია მეზვრიშვილმა და ფორუმის თანათავმჯდომარემ, საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველოს აღმასრულებელი დირექტორის მოადგილე გიორგი ონიანმა.

ნათია მეზვრიშვილმა ღია მმართველობის პროცესის მნიშვნელობაზე ისაუბრა და ფორუმის წევრებს ამ მიმართულებით ადმინისტრაციის მიერ ინიცირებული ცვლილებები და სამომავლო გეგმები გააცნო. მან აღნიშნა, რომ OGP-ის კოორდინაცია საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციას (შემდგომში - ადმინისტრაცია) 2019 წლის გაზაფხულზე შესაბამისი სამართლებრივი ცვლილებების საფუძველზე

დაევალა, რასაც მოყვა ადმინისტრაციაში საჯარო მმართველობის სამმართველოს შექმნა, რომელსაც მათ შორის, OGP-ის სამდივნოს ფუნქცია დაეკისრა. ნათია მეზვრიშვილმა ასევე აღნიშნა, რომ 2019 წლის გაზაფხულზე საქართველომ OGP-ის მმართველი კომიტეტის არჩევნებში წარმატებით მიიღო მონაწილეობა და სამი წლის ვადით რჩება ორგანიზაციის მმართველ ორგანოში, სადაც საქართველოს მთავრობას თავად წარმოადგენს.

ნათია მეზვრიშვილმა აღნიშნა, რომ ადმინისტრაციის პრიორიტეტია სამოქალაქო საზოგადოებასთან თანამშრომლობის გაძლიერება და ღია მმართველობის პროცესის ინსტიტუციონალიზაცია - ფორმალური მხარის გამართვა. მან აღნიშნა, რომ სწორედ ამ მიზნით, სამოქალაქო საზოგადოებასთან ინტენსიური კონსულტაციების შედეგად გადაწყდა, შეიქმნას ღია მმართველობის საკითხებზე მთავრობის პირველი მაღალი რანგის სათათბირო ორგანო, რომელსაც თავად უხელმძღვანელებს, ხოლო წევრები მინისტრის მოადგილეები იქნებიან. ნათია მეზვრიშვილმა აღნიშნა, რომ საბჭოს ხმის უფლებით შემოუერთდებიან არასამთავრობო ორგანიზაციათა ხელმძღვანელები, რაც სამოქალაქო საზოგადოებას დამატებით შესაძლებლობას მისცემს ამა თუ იმ საკითხს უშუალოდ გადაწყვეტილების მიმღებ პირებთან გაუწიოს ადვოკატირება. მან აღნიშნა, რომ ფორუმი მუშაობას განაგრძობს როგორც საბჭოს სამუშაო ჯგუფი და აღჭურვილი იქნება არაერთი მნიშვნელოვანი ფუნქციით.

ნათია მეზვრიშვილმა განაცხადა, რომ ახალი სამოქმედო გეგმით გაწერილი ვალდებულებები მსხვილ რეფორმებზე ორიენტირებული, ქმედითი და ამავდროულად - შესრულებადი იქნება და ამ პროცესში სამოქალაქო საზოგადოების მხარდაჭერას დიდი მნიშვნელობა მიენიჭება.

გიორგი ონიანი დადებითად გამოეხმაურა ადმინისტრაციის მიერ ფორუმის მუშაობის განახლებასა და გაწეულ სამუშაოს. მან ყურადღება გაამახვილა ღია მმართველობის პროცესში არსებულ სირთულეებსა და გამოწვევებზე, რაც, სამოქალაქო საზოგადოების მოსაზრებით, სამომავლოდ განსაკუთრებულ ყურადღებას საჭიროებს, ვინაიდან წარსულში აღნიშნულმა ხარვეზებმა რიგი ჩავარდნები გამოიწვია. გიორგი ონიანმა აღნიშნა, რომ ინიცირებული ცვლილებები არასამთავრობო ორგანიზაციებს ფრთხილი ოპტიმიზმით განაწყობს. მან დაადასტურა ფორუმის წევრი არასამთავრობო ორგანიზაციების მზადყოფნა თანამშრომლობისა და OGP საქართველოს პროცესის მხარდაჭერის კუთხით.

⇔ ღია მმართველობის კოორდინაცია - ახალი ხედვები პროცესის გასაძლიერებლად

⇒ *საქართველოს ღია მმართველობის ახალი უწყებათაშორისო საკოორდინაციო მექანიზმი*

საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციის პოლიტიკის დაგეგმვისა და კოორდინაციის დეპარტამენტის უფროსმა, ანა კვერნაძემ ფორუმის წევრებს ღია მმართველობა საქართველოს პროცესის ეროვნულ დონეზე კოორდინაციისა და გამჭვირვალობის მაღალი ხარისხის უზრუნველყოფის მიზნით დაგეგმილი ცვლილებები გააცნო.

ანა კვერნაძის განმარტებით, არასამთავრობო ორგანიზაციებთან გამართული კონსულტაციების შედეგად, ადმინისტრაციამ მიიღო გადაწყვეტილება მთავრობის დადგენილებით შეიქმნას საქართველოს ღია მმართველობის უწყებათაშორისი საკოორდინაციო საბჭო. საბჭო იქნება გადაწყვეტილების მიმღები, მაღალი რანგის (მინისტრის მოადგილეები და არასამთავრობო ორგანიზაციათა ხელმძღვანელები) სათათბირო ორგანო, რომელიც სამოქალაქო სექტორის წარმომადგენელთა აქტიური ჩართულობით დაადგენს ქვეყნის ღია მმართველობის პოლიტიკას და უზრუნველყოფს შეთანხმებული ვალდებულებების განხორციელების მონიტორინგს. ადმინისტრაციის შემოთავაზებაა, საბჭოში გაერთიანდეს ყველა სამინისტრო და სხვა წამყვანი უწყებები საჭიროებისამებრ, რათა გაფართოვდეს ღია

მმართველობის სამოქმედო გეგმების დაფარვის არეალი და მთავრობამ სრულად აიღოს პასუხისმგებლობა ქვეყანაში ღია მმართველობის პოლიტიკის დაგეგმვასა და განხორციელებაზე.

ანა კვერნაძემ აღნიშნა, რომ OGP საქართველოს პროცესში ჩართული არასამთავრობო ორგანიზაციების რეკომენდაცია იყო ღია მმართველობის საკითხებზე გადაწყვეტილების მიღებისთვის მოთხოვნილი ყოფილიყო ხმის უფლების მქონე არასამთავრობოთა უმრავლესობა და ხმის უფლების მქონე სახელმწიფო უწყებათა უმრავლესობა - რაც მთავრობის ადმინისტრაციამ სრულად გაიზიარა.

გარდა ამისა, შემოთავაზებული ცვლილებების მიხედვით, ფორუმი გარდაიქმნება საბჭოს მუდმივმოქმედ სამუშაო ჯგუფად, რომლის შემადგენლობაში იქნებიან საბჭოს წევრი უწყებებისა და არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლები.

ამასთან, საბჭოს დებულება, ისევე როგორც ფორუმის სახელმძღვანელო წესები დაადგენს საბჭოსა და ფორუმის თანა-თავმჯდომარედ არჩევის ვადებს; შემოთავაზების თანახმად, თანა-თავმჯდომარე აირჩევა სამოქმედო გეგმის მოქმედების ვადით ამავე გეგმის შემუშავების პროცესის დასაწყისში; ერთი და იგივე პირი არ შეიძლება წარდგენილ იქნეს თანა-თავმჯდომარედ თანმიმდევრულად ორი სამოქმედო გეგმის მოქმედების ვადით. აღნიშნული ჩანაწერი პროცესს მეტად ინკლუზიურს გახდის, რადგან არასამთავრობო ორგანიზაციებს ერთგვარი როტაციის პრინციპით შეეძლებათ დაიკავონ თანა-თავმჯდომარის პოზიცია.

გარდა ზემოაღნიშნულისა, ანა კვერნაძემ ფორუმის მონაწილეებს OGP-ის შეფასების დამოუკიდებელი მექანიზმის (Independent Reporting Mechanism - IRM) საწყისი ანგარიშის რეკომენდაციები წარუდგინა, რომელიც პროცესის გაუმჯობესებას უკავშირდება. როგორც ანა კვერნაძემ აღნიშნა, რეკომენდაციათა უმეტესი ნაწილი, განხორციელებული ცვლილებების შედეგად, უკვე გათვალისწინებულია. კერძოდ, შემუშავებულია ფორუმში ახალი წევრების მიღების სამართლიანი და გამჭვირვალე პროცედურები, შექმნილია მაღალი რანგის გადაწყვეტილების მიმღები ორგანო და შემუშავებულია გადაწყვეტილების მიღების წესი, უზრუნველყოფილია თანამშრომლობა სამუშაო და მაღალი რანგის წარმომადგენლობით დონეზე, განსაზღვრულია შეხვედრების ოქმების შედგენისა და მათი გამოქვეყნების პროცედურები და შემუშავებულია OGP სამოქმედო გეგმის მონიტორინგისა და თვითშეფასების მეთოდოლოგია.

ანა კვერნაძის თქმით, რეკომენდაციათა ნაწილის შესრულება უახლოეს მომავალში იგეგმება და ამ მიზნით, ადმინისტრაცია საერთაშორისო პარტნიორებთანაც აქტიურად მუშაობს. კერძოდ, ადმინისტრაცია უახლოეს მომავალში გეგმავს შექმნას OGP საქართველოს ვებგვერდი, დამატებითი კონსულტაციებისთვის საჯაროდ გამოაქვეყნოს მომდევნო სამოქმედო გეგმის სამუშაო ვერსია, ზუსტად განსაზღვროს სამოქმედო გეგმაში მოცემული ვალდებულებების განხორციელების ეტაპები და რაოდენობრივი/თვისებრივი ინდიკატორები, აამაღლოს ქვეყნის მასშტაბით OGP-ის შესახებ ცნობიერების დონე და გააფართოვოს სამოქმედო გეგმის თემატიკა სამოქალაქო საზოგადოებასთან აქტიური თანამშრომლობით.

პრემიერ-მინისტრის აპარატის უფროსმა, გიორგი სახოკიამ კიდევ ერთხელ დაადასტურა მთავრობის ადმინისტრაციის მზაობა, ღია მმართველობის პროცესში გაიზარდოს არასამთავრობო ორგანიზაციების როლი.

დანართი 1: პრეზენტაცია ღია მმართველობის ახალი უწყებათაშორისო საკოორდინაციო მექანიზმის შესახებ *(დაემატება ოქმის საბოლოო ვერსიას).*

⇒ *არასამთავრობო ორგანიზაციების ფორუმში გაწევრიანების კრიტერიუმები*

ანა კვერნაძემ ხაზი გაუსვა, რომ ახალი ფორმატის ფარგლებში ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ცვლილება ფორუმში/საბჭოში ახალი არასამთავრობო ორგანიზაციების გაწევრიანების საკითხს შეეხება, რომელიც OGP საქართველოს პროცესში ჩართული არასამთავრობო ორგანიზაციების რეკომენდაციის შესაბამისად შეიცვალა. შემოთავაზებული ცვლილებების თანახმად, ახალი წევრი არასამთავრობო ორგანიზაციის მიღება დამოკიდებული იქნება არა ერთობლივად ფორუმის, ან ღია მმართველობა საქართველოს სამდივნოს (სამდივნო), არამედ, თავად წევრი არასამთავრობო ორგანიზაციების მიერ დამოუკიდებლად, წინასწარ შეთანხმებული კრიტერიუმების საფუძველზე მიღებულ გადაწყვეტილებაზე. OGP საქართველოს სამდივნო მხოლოდ იტოვებს უფლებამოსილებას გამოითხოვოს ინფორმაცია ახალი წევრი არასამთავრობო ორგანიზაციის მიერ წევრობის კრიტერიუმების დაკმაყოფილების შესახებ.

სამდივნომ ფორუმის წევრი სამოქალაქო საზოგადოების თხოვნით მოამზადა კრიტერიუმების სამუშაო ვერსია OGP-ის წევრი ქვეყნების (კანადის, ავსტრალიისა და რუმინეთის) პრაქტიკასა და OGP-ის სხვადასხვა სახელმძღვანელოზე დაყრდნობით.[2] ასევე, სამდივნომ კონსულტაცია გაიარა OGP-ის საერთაშორისო სამდივნოსთან. კრიტერიუმების სამუშაო ვერსია 2019 წლის დეკემბრის დასაწყისში გაეგზავნათ არასამთავრობო ორგანიზაციებს შიდა და შემდგომ, ფორუმის შეხვედრაზე განხილვისთვის.

ფორუმის თანა-თავმჯდომარემ, გიორგი ონიანმა აღნიშნა, რომ სამოქალაქო საზოგადოებისთვის დიდი მნიშვნელობა აქვს წევრობის კრიტერიუმებს, შესაბამისად, მათ დამატებითი დრო სჭირდებათ შემოთავაზების განსახილველად. გადაწყდა, რომ სამოქალაქო საზოგადოება გააგრძელებს აღნიშნულ საკითხზე შიდა კონსულტაციებს.

პრეზენტაციის დასასრულს, ანა კვერნაძემ აღნიშნა, რომ სამდივნო რეკომენდაციებისა და შენიშვნებისთვის ორი კვირის ვადით სახელმწიფო უწყებებს გაუზიარებს საბჭოს დებულების პროექტს, ხოლო სამოქალაქო საზოგადოებისგან დაელოდება არასამთავრობო ორგანიზაციების გაწევრიანების კრიტერიუმების საბოლოო ვერსიას.

⇔ ღია მმართველობა საქართველოს 2018-2019 წლების სამოქმედო გეგმის მონიტორინგის ანგარიში

⇒ *ზოგადი შედეგების წარდგენა სამდივნოს მიერ*

ღია მმართველობა საქართველოს სამდივნომ წარადგინა OGP საქართველოს 2018-2019 წლების სამოქმედო გეგმის მონიტორინგის ანგარიში 2019 წლის 30 ივნისის მდგომარეობით. მონიტორინგი სამ ეტაპად განხორციელდა: **პირველ ეტაპზე** პასუხისმგებელმა უწყებებმა წარმოადგინეს შესრულებული სამუშაოს თვითშეფასება; **მეორე ეტაპის** ფარგლებში პასუხისმგებელი უწყებების მიერ წარმოდგენილი ინფორმაცია კომენტარებისა და უკუკავშირისთვის სამოქალაქო საზოგადოებას წარედგინა; **მესამე ეტაპზე** კი OGP საქართველოს სამდივნომ პასუხისმგებელი უწყებებისა და სამოქალაქო საზოგადოების მიერ წარმოდგენილ ინფორმაციაზე დაყრდნობით მოამზადა სამოქმედო გეგმის შესრულების მონიტორინგის საბოლოო შეფასება. მონიტორინგი განხორციელდა როგორც ვალდებულებებისა და განხორციელების ეტაპების რეიტინგის (არ შესრულდა, ნაწილობრივ შესრულდა, უმეტესწილად შესრულდა, სრულად შესრულდა), ასევე სტატუსის (პროცესი არ დაწყებულა, პროცესი შეჩერებულია, პროცესი მიმდინარეობს, პროცესი დასრულდა) მიხედვით.

[2] Open Governance Partnership, Designing and Managing an OGP Multistakeholder Forum – A Practical Handbook with Guidance and Ideas; OGP Participation and Co-Creation Toolkit.

როგორც სამდივნოს ხელმძღვანელმა, ქეთი ცანავამ აღნიშნა, 2018-2019 წლების სამოქმედო გეგმა მოიცავს 33 ვალდებულებას[3] და 130 განხორციელების ეტაპს, რომლის შესრულებაში ჩართულია ცენტრალური ხელისუფლების 10 უწყება და 13 მუნიციპალური ორგანო.

პრეზენტაციისას ყურადღება გამახვილდა იმ ვალდებულებებსა და განხორციელების ეტაპებზე, რომელთა შესრულებისას გამოიკვეთა სხვადასხვა სახის შეფერხება. აღსანიშნავია, რომ სამდივნოს შეფასებით, **2019 წლის ივნისის მდგომარეობით** სამოქმედო გეგმით გაწერილი 5 ვალდებულება სრულად, 20 ნაწილობრივ, 5 კი უმეტესწილად შესრულდა, არ შესრულდა 3 ვალდებულება.

მონიტორინგის ამ ეტაპისთვის შეუსრულებელი ვალდებულებებია: ვალდებულება 2. მოქალაქეთა ჩართულობის ინოვაციური პლატფორმა; ვალდებულება 6. არსებული ძირითადი ანტიკორუფციული ინსტიტუტების გაძლიერება; ვალდებულება 5. შენი იდეა ზუგდიდის მერს. სამდივნომ აღნიშნა, რომ ჩამოთვლილი ვალდებულებების განხორციელების პროცესი მიმდინარეობს და შესაბამისი უწყებების მიერ ივნისიდან ფორუმის თარიღამდე რიგი ნაბიჯები გადაიდგა.

აღინიშნა, რომ საანგარიშო პერიოდში **სრულად შესრულდა** შემდეგი ხუთი ვალდებულება:

- ვალდებულება 1. გაუმჯობესებული საჯარო სერვისები ყველასათვის;
- ვალდებულება 1.1. გამჭვირვალე მმართველობის განმტკიცება ახალციხის მუნიციპალიტეტის მერიაში;
- ვალდებულება 4. ბათუმში საბიუჯეტო პროცესებში მოქალაქეთა ჩართულობა;
- ვალდებულება 6.1. ბათუმში ელექტრონული სერვისების დანერგვა და განვითარება;
- ვალდებულება 7. I.Gov.Zugdidi (ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულო).

უწყებების ანგარიშის მიხედვით ძირითად გამოწვევებად გამოიკვეთა ტექნიკური (IT) მხარდაჭერისა და ადამიანური რესურსის ნაკლებობა. მოხსენების დროს ხაზი გაესვა სამოქალაქო საზოგადოების შეფასებას, რომლის მიხედვითაც ღია მმართველობის პროცესის წევრი არასამთავრობო და საერთაშორისო ორგანიზაციები უწყებების შეფასებას არ დაეთანხმნენ 33 ვალდებულებიდან 4 ვალდებულების, ხოლო 130 განხორციელების ეტაპიდან - 18-ის რეიტინგში. სამდივნომ სამოქალაქო საზოგადოების რეკომენდაციების შესაბამისად შეცვალა 2 ვალდებულებისა და 12 განხორციელების ეტაპის რეიტინგი.

დასასრულს, ქეთი ცანავამ შეაჯამა სამდივნოს რეკომენდაციები, რომელიც მოიცავს ვალდებულებების განხორციელების ვადების გადახედვას, ვალდებულებათა განხორციელების დამადასტურებელი წყაროების შეგროვებას, უწყებათაშორისი კოორდინაციის გაზრდასა და IRM-ის რეკომენდაციების გათვალისწინებას.

სამოქმედო გეგმის მონიტორინგის ანგარიშთან დაკავშირებით ეროვნულ დემოკრატიული ინსტიტუტის (NDI) წარმომადგენელმა გამოთქვა იდეა, გაანალიზდეს მოქალაქეებზე ვალდებულებების შესრულების გავლენა, რათა დავინახოთ გაუმჯობესდა თუ არა მათი ცხოვრების ხარისხი და გაიზარდა თუ არა მთავრობის ღიაობა.

გაეროს განვითარების პროგრამის (UNDP) წარმომადგენელი დაინტერესდა **ღია პარლამენტისა** და საქართველოს ღია მმართველობის პროცესის გაერთიანების შესაძლებლობით. სამდივნომ აღნიშნა, რომ ადამიანის უფლებების სწავლებისა და მონიტორინგის ცენტრის (EMC) რეკომენდაციაა ღია

[3] სამოქმედო გეგმა აერთიანებს 23 ვალდებულებას, რომელთაგან 4 ვალდებულება (ქვეთავი: მუნიციპალიტეტების ორგანოები, ვალდებულება N 1, N 2, N 3 და N 6) აღებულია რამდენიმე სხვადასხვა მუნიციპალიტეტის ორგანოს მიერ. მონიტორინგის მიზნებისთვის, აღნიშნული ნაწილები ცალ-ცალკე, დამოუკიდებელ ვალდებულებებად განიხილება, შესაბამისად, შეფასების ჯამური მაჩვენებელი მოიცავს 33 ვალდებულებას.

მმართველობის საბჭო ანგარიშვალდებული გახდეს პარლამენტის წინაშე. თუმცა, აღინიშნა, რომ პარლამენტის ღია მმართველობის მუდმივმოქმედი საბჭოს დებულებაში უკვე გათვალისწინებულია მთავრობის მიერ ანგარიშის წარდგენა, რაც სამომავლოდ სასურველია პრაქტიკაში მოქმედ მექანიზმად ჩამოყალიბდეს. მიუხედავად ამისა, სამართლებრივად შესაძლებელია დამატებით, ღია მმართველობის საბჭოს დებულებაშიც გაიწეროს მთავრობის ანგარიშვალდებულება პარლამენტთან, თუმცა ეს გამოიწვევს პარლამენტის რეგლამენტის ცვლილების საჭიროებას. USAID-ის წარმომადგენლის განცხადებით, გამომდინარე იქედან, რომ პარლამენტის რეგლამენტის ცვლილება უკვე იგეგმება, შესაძლებელია აღნიშნული საკითხი სწორედ ცვლილებების შემუშავების ეტაპზე კიდევ ერთხელ იქნეს განხილული.

ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტის (IDFI) წარმომადგენელმა, გიორგი კლდიაშვილმა აღნიშნა, რომ საპარლამენტო ზედამხედველობის საკითხი სასურველია, საბჭოზე გადაწყდეს. ფორუმის თანა-მომხსენებელი, გიორგი ონიანი მიესალმება პარლამენტის ზედამხედველობის გაზრდას, რაც პასუხობს სხვა ქვეყნების კარგ პრაქტიკას.

დანართი 2: პრეზენტაცია OGP საქართველოს 2018-2019 წლების სამოქმედო გეგმის მონიტორინგის შედეგების შესახებ *(დაემატება ოქმის საბოლოო ვერსიას).*

⇒ *სამოქმედო გეგმის შესრულების პროგრესი ივლისი-დეკემბრის მდგომარეობით - პასუხისმგებელი უწყებები:*

სამდივნოს მიერ ღია მმართველობა საქართველოს 2018-2019 წლების სამოქმედო გეგმის მონიტორინგის ანგარიშის განხილვის შემდგომ პასუხისმგებელმა უწყებებმა წარადგინეს 2019 წლის **ივნისის შემდგომ** მიღწეული პროგრესი ვალდებულებების შესრულების კუთხით.

ვალდებულება 5: გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსით გათვალისწინებული მოთხოვნების შესასრულებლად ელექტრონული პორტალის ამოქმედება *(გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრი)*

გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრის ხელმძღვანელმა, თამარ ალადაშვილმა დეტალურად ისაუბრა იმ მიზეზებზე, რის გამოც გეგმით გათვალისწინებულ ვადებში ვერ მოხერხდა ელექტრონული პორტალის ამოქმედება. მისი თქმით, პროცესში წარმოიშვა შიდა სისტემის გამართვისა და გაუმჯობესების საჭიროება, რაც მიმდინარე სამოქმედო გეგმით არ იყო გათვალისწინებული. როგორც თამარ ალადაშვილმა განაცხადა, ფინანსთა სამინისტროს საფინანსო ანალიტიკურ დეპარტამენტთან თანამშრომლობით, უკვე დასრულებულია შიდა სისტემაზე მუშაობა, დატესტილია ფუნქციონალი და დაწყებულია იმ მასალების ელ. ფორმატში გადაყვანა, რაც საჯარო პორტალზე უნდა განთავსდეს. აღინიშნა, რომ მოცულობითი დოკუმენტების ელ. ფორმატში გადაყვანა და პორტალზე ატვირთვა საკმაოდ შრომატევადია და დიდ დროს მოითხოვს. სისტემის სრულად ამოქმედება 2020 წლის ბოლოსთვის იგეგმება. პროცესის განმავლობაში უწყება მზადყოფნას გამოთქვამს აქტიურად ითანამშრომლოს სამოქალაქო საზოგადოებასთან.

ვალდებულება 6: არსებული ძირითადი ანტიკორუფციული ინსტიტუტების გაძლიერება *(საქართველოს მთავარი პროკურატურა; საქართველოს იუსტიციის სამინისტრო)*

მოხსენების წარდგენამდე, იუსტიციის სამინისტროს ანალიტიკური დეპარტამენტის უფროსის მოვალეობის შემსრულებელი, პელაგია მახაური გამოეხმაურა გიორგი ონიანის კომენტარს და აღნიშნა, რომ უსაფუძვლო იყო მისი კრიტიკა იმის შესახებ, რომ OGP საქართველოს სამდივნოს იუსტიციის სამინისტროში არსებობის პერიოდში პროცესი ჩავარდა და რომ მას აღნიშნულში ფორუმის სხვა წევრებიც

დაეთანხმებოდნენ. მისი თქმით, სწორედ ამ პერიოდში განხორციელდა ის მნიშვნელოვანი რეფორმები, (სერვისების გაუმჯობესება, ადგილობრივი თვითმმართველობების პროცესში ჩართვა), რის შედეგადაც, საქართველო OGP-ის თავმჯდომარე ქვეყანა გახდა. საპასუხოდ, გიორგი ონიანმა აღნიშნა, რომ მისი კრიტიკა ფაქტებით იყო გამყარებული და ერთი წლის წინ სწორედ არასამთავრობო ორგანიზაციების რეაქციას მოჰყვა საქართველოს მიმართ სწრაფი რეაგირების მექანიზმის (Rapid Response Mechanism) ამოქმედება.

პელაგია მახაურმა ისაუბრა სამოქმედო გეგმის ფარგლებში იუსტიციის სამინისტროს მიერ აღებული ვალდებულებების შესრულებაზე. მისი თქმით, ანტიკორუფციული საბჭოს სამდივნომ დაიწყო კორუფციული რისკების შეფასების მეთოდოლოგიის შემუშავება და ამ მიმართულებით რამდენიმე ეტაპი გაიარა. როგორც პელაგია მახაურმა აღნიშნა, პირველ რიგში, სამდივნოს მიერ განხორციელდა კვლევა და შესწავლილ იქნა საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ შემუშავებული კორუფციული რისკების შეფასების მეთოდოლოგიები და სხვადასხვა ქვეყნის პრაქტიკა. ამასთან დაკავშირებით, ჩატარდა სამუშაო ჯგუფის შეხვედრები ანტიკორუფციული საბჭოს ფარგლებში და საბოლოოდ, შემუშავდა რისკების შეფასების მეთოდოლოგია, რომელიც კომენტარებისთვის წარედგინა როგორც ანტიკორუფციული საბჭოს სამუშაო ჯგუფის წევრებს, ასევე ფორუმის წევრებსაც და მათი კომენტარები აისახა მეთოდოლოგიის საბოლოო ვერსიაში. პელაგია მახაურის განცხადებით, მას შემდეგ, რაც მოხდება აღნიშნული მეთოდოლოგიის პილოტირება რამდენიმე საჯარო უწყებაში, გაანალიზდება პრაქტიკული პრობლემები და მეთოდოლოგია შესაბამისად განახლდება. როგორც მან აღნიშნა, მეთოდოლოგიაზე მუშაობა ამ ეტაპისთვის დასრულებულია და უახლოეს მომავალში ის ანტიკორუფციული საბჭოს მიერ დამტკიცდება.

პელაგია მახაურმა ასევე ისაუბრა იუსტიციის სამინისტროს მეორე ვალდებულებაზეც, რომელიც ეხება პარლამენტის წინაშე ანტიკორუფციული საბჭოს ანგარიშვალდებულების განსაზღვრას. მისი თქმით, უკვე განახლდა საბჭოს დებულება, რომელშიც შევიდა ცვლილება და ანტიკორუფციული საბჭო ანგარიშვალდებული გახდა, როგორც მთავრობის, ასევე პარლამენტის წინაშე. როგორც პელაგია მახაურმა აღნიშნა, დებულება დასამტკიცებლად მთავრობას უახლოეს მომავალში წარედგინება.

მე-6 ვალდებულების *საქართველოს გენერალური პროკურატურის* კომპეტენციას მიკუთვნებულ საკითხებზე ისაუბრა პროკურორმა ნინო ქვრივიშვილმა და ფორუმის წევრებს ვალდებულებით გათვალისწინებული ტრენინგების შესახებ მიაწოდა ინფორმაცია. მისი თქმით, 2019 წლის მეორე ნახევარში გენერალური პროკურატურის მიერ კორუფციული დანაშაულების გამოძიებისა და სისხლის სამართლებრივი დევნის საკითხებზე განხორციელდა ხუთი სასწავლო აქტივობა, მათ შორის სასწავლო ვიზიტი პრაღაში და ჩატარდა სემინარები კომპლექსური ფინანსური დანაშაულების გამოძიების თემატიკაზე. როგორც ნინო ქვრივიშვილმა აღნიშნა, საანგარიშო პერიოდში გენერალური პროკურატურის მიერ განხორციელდა საჯარო შესყიდვების სფეროში კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლასთან დაკავშირებული ღონისძიებები, ასევე, ჩატარდა იურიდიული პირების სისხლის სამართლებრივი პასუხისმგებლობის საკითხებზე ორი სამუშაო შეხვედრა და კეთილსინდისიერების ამაღლებისა და კორუფციის რისკების შემცირების საერთაშორისო სემინარი. ნინო ქვრივიშვილის თქმით, ტრენინგების ფარგლებში გადამზადდა 53 პროკურორი და ამ მიმართულებით მომუშავე გამომძიებელი, ასევე მომზადდა 15 სტაჟიორი და ჩატარებული ტრენინგებით თითქმის სრულად იქნა მოცული როგორც თბილისში, ასევე რეგიონებში მომუშავე თანამშრომლები. პროკურატურის წარმომადგენლის განცხადებით, ტრენინგებზე განიხილეს ის გამოწვევები და რისკები, რაც ახლავს კორუფციული დანაშაულის გამოძიებას. როგორც ნინო ქვრივიშვილმა აღნიშნა, გენერალური პროკურატურის მიერ ნაკისრი ვალდებულება სრულად არის შესრულებული.

ვალდებულება 9: სასამართლო გადაწყვეტილებების ერთიან ბაზაში გამოქვეყნება და საძიებო სისტემის შექმნა *(იუსტიციის უმაღლესი საბჭო)*

იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მენეჯმენტის დეპარტამენტის უფროსმა, კონსულტანტმა ალექსანდრე კურცხალიამ ისაუბრა სასამართლო გადაწყვეტილებების ერთიან ბაზაში გამოქვეყნებისა და საძიებო სისტემის შექმნის ვალდებულების შესრულების პროგრესზე.

ალექსანდრე კურცხალიას განცხადებით, 2019 წლის გაზაფხულზე უმაღლეს საბჭოს, საერთო სასამართლოების დეპარტამენტსა და ფინანსთა სამინისტროს შორის გაფორმდა ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი. მემორანდუმის ფარგლებში შემუშავდა და დამტკიცდა სასამართლო გადაწყვეტილებების მონაცემთა ერთიანი ბაზა, მისი ტექნიკური დავალება, რომლის საფუძველზეც შეიქმნა ვებგვერდი ecd.court.ge. გამომდინარე იქიდან, რომ ძველი ვებგვერდი - info.court.ge გამართულად არ ფუნქციონირებდა, იუსტიციის უმაღლესმა საბჭომ მიიღო სრულიად ახალი ვებგვერდის შექმნის გადაწყვეტილება, რომელიც 2019 წლის ივლისიდან ამოქმედდა და ამ ეტაპზე ვებპორტალის სრული ფუნქციონალი გაშვებულია სატესტო რეჟიმში, ხოლო მომავალი წლის დასაწყისიდან დაგეგმილია სატესტო რეჟიმის სრულად მოხსნა.

ალექსანდრე კურცხალიას განმარტებით, ecd.court.ge-ის ფუნქციონალი შედგება ოთხი ქვე-მოდულისაგან: (1) გადაწყვეტილებები - რომლის საშუალებით შესაძლებელია სასამართლოს მიერ დაშტრიხული გადაწყვეტილებების მოძიება, დათვალიერება და ჩამოტვირთვა; (2) სასამართლო აქტები - უნიკალური ნომრის (შტრიხ-კოდის) მეშვეობით სასამართლოს მიერ მიღებული აქტები, რომლებშიც არ არის დაფარული მონაწილე მხარეების პერსონალური და საიდენტიფიკაციო ნომრები; (3) საჯარო შეტყობინებები - სასამართლოს მიერ გამოქვეყნებული ყველა მიმდინარე საჯარო ინფორმაცია; (4) სასამართლო სხდომები - საქალაქო, რეგიონული, სააპელაციო და უზენაესი სასამართლო სხდომების განრიგის მოძიება; (5) ჩემი კაბინეტი - მომხმარებლის სივრცე, სადაც განთავსებულია ინფორმაციას მომხმარებლის საქმესთან დაკავშირებით. უწყებამ აღნიშნა, რომ ამ ეტაპზე გამოქვეყნებულია 2018 და 2019 წლების გადაწყვეტილებები და მიმდინარეობს მუშაობა დანარჩენი გადაწყვეტილებების ეტაპობრივად გამოქვეყნებისთვის.

ვალდებულება 12: სახელმწიფო საგრანტო დაფინანსების სისტემის გამჭვირვალობის გაზრდა *(საქართველოს მთავრობის ადმინისტრაცია)*

სახელმწიფო საგრანტო დაფინანსების სისტემის გამჭვირვალობის გაზრდის ვალდებულების შესრულების პროგრესზე ისაუბრა საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციის, პარლამენტთან და პრეზიდენტთან ურთიერთობის დეპარტამენტის წარმომადგენელმა, მარიამ ლელაშვილმა. მისი განმარტებით, მომზადებულია "გრანტების შესახებ" საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის შესახებ" საქართველოს კანონის პროექტის პირველადი ვერსია და კანონპროექტზე მუშაობა შესაბამისი სახელმწიფო უწყებების ჩართულობით მიმდინარეობს.

საწყის ეტაპზე შეიქმნა სამუშაო ჯგუფი, რომელშიც უწყებებთან ერთად ჩართული იყო ააიპ სამოქალაქო საზოგადოების ინსტიტუტი. მათი აქტიური ჩართულობით მომზადდა ცვლილებათა პროექტის არა ერთი, არამედ რამდენიმე სამუშაო ვერსია. ამ ეტაპზე მიმდინარეობს პოზიციების შეჯერება. მთავრობის ადმინისტრაციის ინფორმაციით, კანონპროექტზე მუშაობის დასრულებისთანავე იგი დაინტერესებულ მხარეებს, ხოლო მისი მთავრობის მიერ მოწონების შემთხვევაში - საქართველოს პარლამენტს წარედგინება.

პრემიერ-მინისტრის აპარატის უფროსის, გიორგი სახოკიას განცხადებით, უწყებების მიერ ზოგად პრინციპებზე შეთანხმება ამ პროცესის მნიშვნელოვანი მიღწევაა და მომავალი წლის პირველ კვარტალში შესაძლებელი გახდება პროცესის დასრულება.

ვალდებულება 13: ელექტრონული ინოვაციები საჯარო შესყიდვების მეტი გამჭვირვალობისა და ეფექტიანობისთვის *(სახელმწიფო შესყიდვების სააგენტო)*

სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს საერთაშორისო ურთიერთობების დეპარტამენტის უფროსმა, დიმიტრი გულისაშვილმა ისაუბრა საჯარო შესყიდვების მეტი გამჭვირვალობისა და ეფექტიანობის უზრუნველყოფის მიზნით, ელექტრონული ინოვაციების დანერგვის ვალდებულების შესრულების შესახებ.

მისი განმარტებით, ღია მმართველობა საქართველოს სამდივნოსთვის ივნისში წარდგენილი პროგრესის შემდეგ განხორციელდა ორი მნიშვნელოვანი აქტივობა: შეიქმნა ახალი ვიზუალიზაციის ვებგვერდი და OCDS სტანდარტზე დაფუძნებულ ბაზაზე წვდომისათვის პროგრამული ინტერფეისის აპლიკაცია (API). ახალი ვიზუალიზაციის ვებგვერდი უზრუნველყოფს სახელმწიფო შესყიდვებზე სრულყოფილი ინფორმაციის მარტივად ხელმისაწვდომობას სხვადასხვა ფილტრის გამოყენებით.

რაც შეეხება ვალდებულების დანარჩენ ეტაპებს, ერთ-ერთი ეტაპი გულისხმობდა სახელმწიფო შესყიდვების გეგმების ელექტრონული მოდულის ე.წ ePlan-ის მანქანასთან თავსებად ფორმატში გადაყვანას. დღეისათვის სახელმწიფო შესყიდვების ელექტრონულ სისტემაში (e-Procurement) ჩაშენებული წლიური გეგმების მოდულში (ePlan) არსებული 2019 წლის ინფორმაცია სრულად გადაყვანილია აღნიშნულ ფორმატში და გამოქვეყნებულია შესაბამის ვებგვერდზე. ამ ეტაპზე მიმდინარეობს მუშაობა 2020 წლის გეგმების ფორმატის ცვლილებაზე. გარდა ამისა, 2011 წლიდან სახელმწიფო შესყიდვებთან დაკავშირებით არსებული ისტორიული და მიმდინარე მონაცემები სრულად გამოქვეყნებულია OCDS სტანდარტით შექმნილ ვებგვერდზე www.opendata.spa.ge.

რაც შეეხება E-Procurement სისტემის ელექტრონულ ტენდერებში CPV კოდების მეტად დეტალიზებული (მინიმუმ მეორე დონის) მითითების უზრუნველყოფას, როგორც გულისაშვილმა აღნიშნა, ამ ეტაპისთვის ვალდებულება შესრულებულად ვერ ჩაითვლება. პრობლემა წარმოიშვა შემსყიდველი ორგანიზაციების მხრიდან, რადგან ელექტრონულ ტენდერებში, ზოგიერთ პროდუქტზე შეუძლებელი იყო დეტალური CPV კოდების მითითება. თუმცა, ივნისის შემდეგ აღნიშნული წინაღობა გამოსწორდა და ამ ეტაპზე შემსყიდველ ორგანიზაციებს CPV კოდების ჩაშლის საშუალება აქვთ.

უწყების მიერ პრეზენტაციის დასრულების შემდეგ, ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის წარმომადგენელი სალომე საღარაძე დაინტერესდა, ტენდერების შესახებ ინფორმაცია მოიცავს თუ არა გამარტივებულ შესყიდვებსაც და გადაყვანილია თუ არა ე.წ ჯეისონ ფორმატში. უწყების წარმომადგენლის განცხადებით, ამ ეტაპზე გამარტივებული შესყიდვების შესახებ ინფორმაცია არ არის ხელმისაწვდომი, თუმცა მომდევნო წლის დასაწყისიდან განახლდება აღნიშნულ საკითხზე მუშაობა.

გარდა ამისა, IDFI-ის წარმომადგენლის განცხადებით, მნიშვნელოვანია მუშაობა გაგრძელდეს ტენდერების შესახებ ინფორმაციის მუდმივად განახლებად ფორმატში, ე.წ ლაივ ფორმატში გამოქვეყნების მიმართულებით. დიმიტრი გულისაშვილის თქმით, რესურსების ნაკლებობის გამო ამ ეტაპზე ვერ მოხერხდა მონაცემების აღნიშნულ ფორმატში გადაყვანა, თუმცა, ამ მიმართულებით მუშაობა გაგრძელდება.

ვალდებულება 14: საცხოვრისის პოლიტიკის დოკუმენტის და სამოქმედო გეგმის შემუშავება *(საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო)*

საცხოვრისის პოლიტიკის დოკუმენტის და სამოქმედო გეგმის შემუშავების ვალდებულებაზე მიღწეული პროგრესის შესახებ ისაუბრა საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს წარმომადგენელმა, თეა გვარამაძემ.

თეა გვარამაძის განმარტებით, საქართველოს მთავრობის 2019 წლის 12 აპრილის N190 დადგენილებით დამტკიცდა "საცხოვრისის პოლიტიკის დოკუმენტისა და მისი სამოქმედო გეგმის შემუშავების ხელშემწყობი სამთავრობო კომისიის დებულება", შეიქმნა სამუშაო ჯგუფი, რომელიც დაკომპლექტებულია სხვადასხვა უწყებების, ადგილობრივი და საერთაშორისო ორგანიზაციების წარმომადგენლებისგან და ექსპერტებისგან. ასევე, შედგა კომისიისა და სამუშაო ჯგუფის ერთობლივი შეხვედრა. გარდა ამისა, გაიმართა სამუშაო ჯგუფის შეხვედრა, რომლის ფარგლებში დაიგეგმა მომდევნო ნაბიჯები და განსახორციელებელი ღონისძიებები.

უწყების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ ვალდებულების ამბიციურობის გათვალისწინებით, მისი შესრულების პროცესი რთულად მიმდინარეობს. სამინისტროს პოზიციაა, რომ საცხოვრისის პოლიტიკის დოკუმენტი უნდა მოიცავდეს ყველა ტიპის პრობლემას, ხოლო სამოქმედო გეგმაში უნდა აისახოს პირველი რიგის ამოცანები. პოლიტიკის დოკუმენტების პირველადი ვერსიის მომზადება 2020 წლის პირველ კვარტალში იგეგმება.

OGP საქართველოს სამდივნომ დაადასტურა აღნიშნული ვალდებულების შესრულების პროცესში ადმინისტრაციის აქტიური ჩართულობა. ყურადღება გამახვილდა სტატისტიკური მონაცემების მოპოვების სირთულეზე, რაც აძნელებს მტკიცებულებაზე დაფუძნებული პოლიტიკის შემუშავებას.

ადამიანის უფლებების სწავლებისა და მონიტორინგის ცენტრის (EMC) წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ უმნიშვნელოვანესია ღია მმართველობის პროცესში საცხოვრისის საკითხზე ყურადღების გამახვილება, რადგან ქვეყანას ამ მიმართულებით დღეს პოლიტიკა არ აქვს. აგრეთვე, შესასრულებელი სამუშაოს მოცულობიდან გამომდინარე, სასურველია, სამუშაო ჯგუფის შეხვედრები ჩატარდეს უფრო ინტენსიურად. EMC დაინტერესდა იგეგმება თუ არა პოლიტიკის დოკუმენტების შემუშავების პროცესში სოციალურად მოწყვლადი თუ სხვა ჯგუფების ჩართულობა, და იგეგმება თუ არა სტრატეგიასა და სამოქმედო გეგმაში დეინსტიტუციონალიზაციის საკითხების შეტანა.

სამინისტროს წარმომადგენელმა პასუხად დაადასტურა, რომ სტრატეგიისა და სამოქმედო გეგმის სამუშაო ვერსიები მომზადებისთანავე კომენტარებისა და შენიშვნებისთვის დაინტერესებულ პირებსა და ორგანიზაციებს წარედგინებათ. უკუკავშირის ფორმატი კი შეთანხმდება სამუშაო ჯგუფის ფარგლებში. აგრეთვე, სამინისტროს წარმომადგენლის თქმით ფსიქიკური ჯანმრთელობის პრობლემების მქონე ადამიანები იქნება ერთ-ერთი მოწყვლადი კატეგორია, რომელსაც საცხოვრისის პოლიტიკის დოკუმენტზე მუშაობისას გაითვალისწინებენ. თეა გვარამაძემ ხაზი გაუსვა, რომ დეინსტიტუციონალიზაცია 2020 წლის ერთ-ერთი პრიორიტეტული საკითხია, თუმცა, გამომდინარე იქედან რომ ფსიქიკური პრობლემების მქონე პირებისთვის დამოუკიდებლად ცხოვრება გამოწვევაა, საკითხზე მუშაობა სიფრთხილით მიმდინარეობს.

⇔ ღია მმართველობა საქართველოს ახალი სამოქმედო გეგმა (2020-2021 წლები) მიდგომა და საწყისი პოზიციები:

⇒ *გეგმის შემუშავების კალენდარის წარდგენა სამდივნოს მიერ*

OGP საქართველოს სამდივნომ წარადგინა ღია მმართველობა საქართველოს 2020-2021 წლების სამოქმედო გეგმის შემუშავების კალენდარი, რომელიც ფორუმმა დადებითად შეაფასა. კალენდარი მოიცავს შემდეგ აქტივობებს:

- **იანვარი**
  - სამოქმედო გეგმის შემუშავების მიზნით იდეების/ინიციატივების შეკრება
- **თებერვალი**
  - იდეების/ინიციატივების კონსოლიდირება
  - კონსულტაცია საჯარო უწყებებთან, ადგილობრივ და საერთაშორისო ორგანიზაციებთან
  - ფორუმის შეხვედრა
  - სამოქმედო გეგმის პრიორიტეტული მიმართულებების განსაზღვრა
- **მარტი**
  - საბჭოს სხდომა
    - ✓ გეგმის პრიორიტეტების დადასტურება
    - ✓ წარმოდგენილი ინიციატივების განხილვა
  - სამოქმედო გეგმის პირველი ვერსიის შემუშავება
  - ფორუმის შეხვედრა
  - კონსულტაციები საჯარო უწყებებთან, ადგილობრივ და საერთაშორისო ორგანიზაციებთან
- **აპრილი**
  - საჯარო კონსულტაციები ქვეყნის მასშტაბით
  - ფორუმის შეხვედრა
  - კონსულტაცია OGP-ის საერთაშორისო სამდივნოსთან გეგმის სამუშაო ვერსიის განხილვის მიზნით
- **მაისი**
  - გეგმის საბოლოო ვერსიის მომზადება
  - ფორუმის შეხვედრა
  - საბჭოს შეხვედრა - სამოქმედო გეგმის დამტკიცება (საჭიროების მიხედვით, საბჭომ შესაძლოა დაავალოს სამდივნოსა და ფორუმს გეგმის შემუშავებაზე მუშაობის გაგრძელება)
- **ივნისი**
  - სამოქმედო გეგმის დამტკიცება

დანართი 3: ღია მმართველობა საქართველოს ახალი სამოქმედო გეგმის შემუშავების კალენდარი *(დაემატება ოქმის საბოლოო ვერსიას).*

განხილვის დასასრულს USAID-ის პროგრამის „დემოკრატიული მმართველობის ინიციატივა საქართველოში“ (GGI) დირექტორმა, ლევან სამადაშვილმა აღნიშნა, რომ GGI მზად არის აქტიურად გააგრძელოს ადმინისტრაციასთან თანამშრომლობა და მხარი დაუჭიროს სამოქმედო გეგმის შემუშავების პროცესს, მათ შორის, საბჭოს სხდომისა და სხვადასხვა შეხვედრების ფარგლებში. მან ასევე აღნიშნა, რომ GGI-მ უკვე დაიწყო ადმინისტრაციასთან თანამშრომლობა რათა მომზადდეს OGP საქართველოს ვებგვერდი.

შეხვედრის დასასრულს გიორგი სახოკიამ აღნიშნა, რომ ძალაში შევიდა პოლიტიკის დაგეგმვის, მონიტორინგისა და შეფასების სახელმძღვანელო, რომელიც საჯარო სექტორში პოლიტიკის დოკუმენტების შემუშავების ახალ სტანდარტს ამკვიდრებს. ეს ყველაფერი 2020-2021 წლების სამოქმედო გეგმის შემუშავებისას გათვალისწინებული იქნება, რაც გაუმჯობესებს დოკუმენტის ხარისხს.

გიორგი სახოკიამ მადლობა გადაუხადა ფორუმის მონაწილეებს და USAID-ს შეხვედრის მხარდაჭერისთვის.

⇒ *სამომავლო გეგმებზე შეთანხმება*

1. სამოქალაქო საზოგადოებასთან ინტენსიური კონსულტაციების შედეგად შედგენილი ღია მმართველობა საქართველოს საბჭოს დებულებისა და ფორუმის სახელმძღვანელო წესების სამუშაო ვერსია ფორუმის წევრებს კომენტარებისთვის წარედგინებათ. სამდივნო მიღებულ კომენტარებზე დაყრდნობით მოამზადებს დოკუმენტის საბოლოო ვერსიას, რომელიც მთავრობის დადგენილებით დამტკიცდება;
2. ღია მმართველობის ფორუმში არასამთავრობო ორგანიზაციების გაწევრიანების კრიტერიუმებზე ფორუმის თანა-მომხსენებელი სამოქალაქო სექტორის პოზიციას მიაწოდებს სამდივნოს;
3. საქართველოს ღია მმართველობის საბჭოს პარლამენტთან ანგარიშვალდებულების საკითხი გადაწყდება საბჭოს სხდომაზე;
4. ფორუმი შეთანხმდა სამდივნოს მიერ წარმოდგენილ ღია მმართველობა საქართველოს ახალი სამოქმედო გეგმის (2020-2021 წლები) შემუშავების კალენდარზე;
5. ფორუმის წევრი უწყებები არასამთავრობო და საერთაშორისო ორგანიზაციების ჩართულობით 2020 წლის იანვარში დაიწყებენ ღია მმართველობა საქართველოს ახალი სამოქმედო გეგმის (2020-2021 წლები) პრიორიტეტების შემუშავებას.

ფორუმის შეხვედრას ესწრებოდნენ

საჯარო დაწესებულებები:	
საქართველოს მთავრობის ადმინისტრაცია	ნათია მეზვრიშვილი - საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციის უფროსი, გიორგი სახოკია - პრემიერ-მინისტრის აპარატის უფროსი, ანა კვერნაძე - პოლიტიკის დაგეგმვისა და კოორდინაციის დეპარტამენტის უფროსი, ქეთევან ცანავა - საჯარო მმართველობის სამმართველოს უფროსი (ღია მმართველობა საქართველოს სამდივნოს ხელმძღვანელი), ანა ბარისაშვილი, დიანა ენდელაძე, ლილი ლეჟავა - ღია მმართველობა საქართველოს სამდივნო მარიამ ლელაშვილი - პარლამენტთან და პრეზიდენტთან ურთიერთობის დეპარტამენტი
საქართველოს იუსტიციის სამინისტრო	პელაგია მახაური, გვანცა მეუნარგია, ლანა მორგოშია
საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო	სალომე მექვაბიშვილი, ანა ჩხაიძე
საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო	თათია ცეცხლაძე, სალომე შაქარიშვილი
საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო	თეა გვარამაძე
სსიპ - სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტო	ელენე რომელაშვილი
სსიპ - იუსტიციის სახლი	ნატალია აბაშმაძე
სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახური	გულნარა თოფჩიშვილი, თამთა კაჭკაჭიშვილი, გიორგი ბაქრაძე
საქართველოს გენერალური პროკურატურა	ნინო ქვრივიშვილი, გიორგი ნოზაძე
იუსტიციის უმაღლესი საბჭო	თამარ ნონიაშვილი, ალექსანდრე კურცხალია
უზენაესი სასამართლო	ლია მჭედლიშვილი
სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტო	ქეთევან კიკნაძე, გიორგი კაპანაძე
სსიპ - სახელმწიფო შესყიდვების სააგენტო	დიმიტრი გულისაშვილი
სსიპ - გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრი	თამარ ალადაშვილი
საქართველოს პარლამენტი	ნინო მაყაშვილი, თამარ გელდიაშვილი, მაია ხმალაძე
საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა	გიორგი კილაძე
მუნიციპალური ორგანოები:	
ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულო	ნანა თავდუმაძე
ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერია	ირაკლი სირაძე
რუსთავის მუნიციპალიტეტის მერია	რევაზ ბარბაქაძე
ხონის მუნიციპალიტეტის მერია	ლადო ჯურხაძე

დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის მერია	მალხაზ მერაბიშვილი
სამოქალაქო საზოგადოება:	
საერთაშორისო გამჭვირვალობა საქართველო (TI)	გიორგი ონიანი
ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი (IDFI)	გიორგი კლდიაშვილი
საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია	სალომე საღარაძე
სამოქალაქო საზოგადოების ინსტიტუტი	ლევან ფანიაშვილი
ეკონომიკური პოლიტიკის კვლევის ცენტრი (EPRC)	ნინო გამხარაშვილი
ადამიანის უფლებების სწავლებისა და მონიტორინგის ცენტრი (EMC)	მარიამ ჯანიაშვილი
საქართველოს დემოკრატიული ინიციატივა (GDI)	მარინე კაპანაძე
საერთაშორისო ორგანიზაციები:	
შეერთებული შტატების საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID)	ლინა პანტელეევა
USAID-ის პროგრამა დემოკრატიული მმართველობის ინიციატივა საქართველოში - GGI	ლევან სამადაშვილი, მიხეილ დარჩიაშვილი, მარიკა გორგაძე
გაეროს განვითარების პროგრამა საქართველოში (UNDP)	გიგი ბრეგაძე, ნინო კაკუბავა, ნანა წიკლაური, ხატია ქარდავა
ეროვნულ დემოკრატიული ინსტიტუტი (NDI)	თამარ გზირიშვილი, ლაშა გოგიძე
OGP IRM	
ნოდარ ხერხეულიძე	